

ჩვენი შუამავლის ტკბილი მოგონებები 4

# კატების ანგელოზი

სემა ექერი
მხატვარი:
ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

თურქეთის რესპუბლიკის სამმართველო
დიანეთის საქმეთა სამმართველო

ჰურეირეს ინტერესი

სემა ექერ

გამოცემის ხელმძღვანელი : ჯაფერ თაიარ დოიმაზ
გამოცემის კოორდინატორი : იუნეს იუქსელ
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
შესწორება : ზეინეფ სელინ თერზი
გარეკანისა და შიდა დიზაინი : შეიმა ჩაქირ
გამოცემის მომზადება : ალი ჩინქი

მე-2 გამოცემა, ანკარა, სექტემბერი 2023

ისბნ : 978-625-435-587-5
2023-06-Y-0003-2456

სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძე
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქაი

სემა ექერი

მხატვარი: ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

ამ წიგნის მფლობელი :)

muslim georgia



მედინას ქუჩებში იყო ერთი კატა, სახელად ჰურეირე.

ხან ხტუნაობდა, ხან სახურავებზე დაძვრებოდა და ძაფის გორგალით თამაშობდა.

ის **ცნობისმოყვარე კატის** სახელით იყო ცნობილი.

ახალი რამეების სწავლა უყვარდა და გამუდმებით კითხვებს სვამდა.

muslim georgia



ივლისის თვე იყო და საერთოდ არ გრილოდა.

ჰერეირე სამხრობამდე თავის საცხოვრებელში იყო.

შემდეგ კი მეგობრებთან ერთად სათამაშოდ გავიდა.

ეზოში სათამაშოდ
თავისი ყველაზე საყვარელი
ძაფის გორგალიც აიღო.





ჰურეირე ერთი მხრივ, ძაფის გორგალს აგორავებდა, მეორე მხრივ, ხალხს აკვირდებოდა. ყველა აფორიაქებული იყო. პატარა გოგონები ფერად, ბრჭყვიალა ქსოვილებით მორთულიყვნენ. ბიჭებს კი სუფთა, თეთრი ტანსაცმელი ჩაეცვათ. ხალხი სახლის ეზოებსა და ქუჩებს ასუფთავებდნენ, სახლებს რთავდნენ. ჰურეირეს ძალიან აინტერესებდა ამ მზადების მიზეზი.

როგორც ჩანს, მედინაში სტუმარი მოდიოდა.

სწორედ ამიტომ ემზადებოდა ხალხი.

## მოსული სტუმრის სახლებში შეპატიჟება სურდათ.





ნეტავ
ვინ იყო ეს
სტუმარი,
რომელიც
ყველას
უყვარდა?

ხალხი ქალაქის შესასვლელში იყრიდა თავს.

სწორედ ამ დროს, ერთი ბავშვი მირბოდა და ჭერეირეს გორგალს ფეხი გაკრა. ძაფის გორგალი წინ მიიწევდა და ისიც თან მიჰყვებოდა.

ჭერეირე მირბოდა, გორგალიც მიგორავდა.

ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა.

აი ის იყო, გორგალი უნდა აეღო და სახლიდან გამომავალი, ვიღაცის ვედრების ხმა მოესმა.





„ჩემო ალლაჰო, ჩვენთვის მაგალითის საჩვენებლად გამოგზავნილი, ბოლო შუამავლისათვის, ჰაზრეთი მუჰამმედისათვის სახლი მოვამზადე. ძალიან მინდა ჩემს სახლში ვუმასპინძლო. გთხოვ ეს მარგუნე," თქვა.



ჰურეირემ შეიტყო, რომ სტუმარი ჰაზრეთი მუჰამმედი იყო.

მაშინვე მედინის ყველაზე მცონდე ხურმის ხისაკენ, თემირისაკენ გაიქცა.

ყველაფერს, რაც კი აინტერესებდა, მას ეკითხებოდა.

თემირთან რომ მივიდა, შეამჩნია სადღაც შორს ყურადღებით იყურებოდა.

იმდენად დიდი ყურადღებით უყურებდა, რომ ჰურეირე ვერც კი დაინახა.



„ჰე ჰეი!
სწავლულო ხეო!
გესმის ჩემი?“

მიმართა.

„კეთილი იყოს შენი მოსვლა ცნობისმოყვარე ჰურეირე!“ - ბოხი ხმით მიუგო თემირმა.

„როგორც გავიგე, სტუმარი მოდის, სახელად მუჰამმედი. შენ იცნობ?“ - ჰკითხა აღელვებულმა ჰურეირემ.

„დიახ ჰურეირე, მე მას ვიცნობ. ის ჩვენი შემოქმედის, ალლაჰის რესულია.“

## „რესული რას ნიშნავს?“

„რესული ნიშნავს ელჩს, რომელიც ალლაჰის გზავნილებს გადმოგვცემს. ის მასწავლებელია, რომელიც ადამიანებს სიკეთის კეთებისაკენ მოუწოდებს, ზნეობას გვასწავლის. ის მექაში დაიბადა, იქ მცხოვრებმა ზოგიერთმა ბოროტმა ადამიანმა კი მისთვის ზიანის მიყენება განიზრახა. ისიც მედინაში მოდის, ანუ ჰიჯრას აკეთებს. მედინის მოსახლეობა მის შესაგებებლად შეიკრიბა.“



ჰურეირემ მღელვარებისაგან ადგილზე ხტომა დაიწყო.

ძალიან მნიშვნელოვანი ვინმე უნდა ენახა,
შესაძლოა გაეცნო კიდეც.

ხალხმრავლობაში შეერია.

ხალხი შუამავლის შემოსვლის სანახავად ხურმის
ხეებსა და სახლების სახურავებზე იცდიდნენ.

სწორედ ამ დროს, ხმა გაისმა.

მოდიიიის! აი იქაა! ალლაჰის ელჩი მოდის!“

ყველამ სიხარულით შესძახა:

„ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!“

ჩიტები მხიარულად დაჭიკჭიკებდნენ.



muslim georgia



ჰურეირე მაშინვე ხურმის ხეზე აცოცდა.

დაინახა, მედინის შესასვლელთან მეგობრები ახლოვდებოდნენ. მაშინვე მიხვდა, თუ რომელი იყო ჰაზრეთი მუჰამმედი.

## ისეთი ლამაზი სახე ჰქონდა...

მისი სახე ბადრი მთვარესავით ანათებდა, ძალიან შავი და მცირედ ტალღოვანი თმა ჰქონდა. წარმოსადეგი იყო, არც მაღალი იყო და არც დაბალი.

ქალაქის შესასვლელთან რომ მოვიდნენ, მედინის მოსახლეობამ სიხარულით სიმღერა დაიწყო:

დამშვიდობების გორაკებიდან
მაღლა მთვარე გამოჩნდა.
ალლაჰისაკენ მოხმობისათვის
მადლიერებას უნდა ვგრძნობდეთ.

შენ მზე ხარ, მთვარე ხარ,
შენ მნათობზე უფრო მანათობელი ხარ.
მედინას პატივი მიაგე,
კეთილი იყოს შენი მობრძანება ალლაჰის რესულო.

muslim georgia





ქალაქში რომ შევიდა, მისი აქლემი, ქავსა, აბუ აიუბ ალ-ანსარის სახლის წინ გაჩერდა.

## ჰაზრეთ მუჰამმედმა ამ სახლში დარჩენა გადაწყვიტა.

აბუ აიუბ ალ-ანსარი სიხარულისაგან დაფრინავდა.

ალლაჰის ელჩი მაშინვე სახლში შეიპატიჟა.



მას შემდეგ ჰაზრეთი მუჰამმედი მედინაში მრავალი წელი ცხოვრობდა. ხალხს ზნეობა ასწავლა.

ჰურეირეც განუწყვეტლივ მის ირგვლივ ტრიალებდა.





ჰაზრეთ მუჰამმედს მეგობარი ჰყავდა, სახელად აბდულლაჰი.

ისიც ჰურეირესავით ცნობისმოყვარე იყო.

ჰურეირე ძალიან შეუყვარდა და გვერდიდან არ შორდებოდა.

ამის გამო, ჰაზრეთ მუჰამმედმა აბდულლაჰს „კატის მამის“ აღმნიშვნელი სახელი, „ებუ ჰურეირე“ უწოდა.

